

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე

“ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზანი: საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საქმიანობების თვითრეგულირებაზე გადაყვანა, შესაბამისად კანონმდებლობის საერთაშორისო მოთხოვნებთან, პრაქტიკასთან ჰარმონიზირება, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმება და მათ ნაცვლად “ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლების შეცვლა. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საქმიანობების თვითრეგულირებაზე გადაყვანა, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და აუდიტის ჩატარების პირობების და წესების განსაზღვრა;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: კანონპროექტით განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და აუდიტის ჩატარების პირობები და წესები, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მოთხოვნები, აუდიტორის პასუხისმგებლობები, პროფესიული ორგანიზაციების კომპეტენციები ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კომისიის სტატუსი, კომპეტენცია და უფლება მოვალეობები. აგრეთვე პროფესიული ორგანიზაციების მიმართ მოთხოვნები ნომინაციის მისაღებად.

კანონპროექტის პირველი თავით განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს შეიმუშავებს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ოფიციალურ თარგმნას განახორციელებენ ნომინირებული პროფესიული ორგანიზაციები. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტების გამოყენება სავალდებულო იქნება კერძო სამართლის იმ იურიდიული პირებისათვის რომლებსაც კანონმდებლობით მოეთხოვება სავალდებულო აუდიტი.

მეორე თავით რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, რომლის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელი იქნება სუბიექტის ხელმძღვანელი, მაგრამ ბუღალტერია შეუძლია აწარმოოს დაქირავებული ბუღალტრის, კომპეტენტური პირის ან საკუთარი ძალებით.

მესამე თავი განსაზღვრავს აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებებს, მის ხარისხს, აუდიტორის პასუხისმგებლობასა და კონფიდენციალურობას.

მეოთხე თავი არეგულირებს პროფესიული ორგანიზაციების მიმართ იმ სავალდებულო მოთხოვნებს რაც საჭირო იქნება ნომინაციის მოსაპოვებლად (ეს მოთხოვნებია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრობა, ამ ფედერაციის განათლების სტანდარტების აღიარება და პრაქტიკაში გამოყენება, აგრეთვე სერტიფიცირება, განგრძობითი სწავლების სტანდარტების დაცვით) და ნომინირებული პროფესიული ორგანიზაციების კომპეტენციის ფუნქციებს.

მეხუთე თავით რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კომისიის სტატუსი, კომპეტენცია. კომისია იქნება საქართველოს პარლამენტთან არსებული კოლეგიალური ორგანო, რომელიც სამი წლის ვადით იქნება არჩეული პარლამენტის მიერ. კომისიას ეყოლება მცირერიცხოვანი აპარატი. იგი იფუნქციონირებს საზოგადოებრივ საწყისებზე, მაგრამ კომისიის თავმჯდომარე და აპარატი დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მეექვსე თავით რეგულირდება მოქმედი ნორმატიული აქტების ვადები, ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასაუქმებელი და მისაღები ნორმატიული აქტები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღება ფისკალურად ნეიტრალურია, იგი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას, რადგან უქმდება საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და მის ნაცვალდ ყალიბდება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კომისია, რომელსაც ეყოლება შედარებით მცირერიცხოვანი აპარატი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

აუდიტორული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის გაუქმება ზეგავლენას იქონიებს აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მუშა-მოსამსახურეებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეფორმების საკიტხებში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
წერილობითი შეფასებები არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი